

სასტუმრო

დასაბუთების ალბომი

თბილისი. გომის ჩიხი №4


საპროექტო ტერიტორია


საპროექტო ტერიტორია

საპროექტო ტერიტორია


საპროექტო ტერიტორია


შენობები
გზები
საპროექტო ტერიტორია


საპროექტო ტერიტორია
შენობები
გზები
ვ. თუმანიანის ქ.
ალანის ქ.
ალანის I ზ.
ალანის II ზ.
ალანის III ზ.
ალანის II შეს
ალანის II ნახე
ალანის III ზ.
ალანის II შეს.
ალანის II შეს.
ალანის II ნახე
ალანის II ნახე
ალანის II ნახე

თბილისის ისტორიული ნაწილი
კალა, კლდის უბანი

ბეთლემის უბანი



ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა – ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები

ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა – ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები შესრულდა UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის დივიზიის (Cultural Heritage Division) ფინანსური და ტექნიკური დახმარებით.

იგი ეფუძნება:

ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროგრამის ფარგლებში, 1999 წ.-ს, მსოფლიოს ძეგლთა ფონდისა და სამუელ ჰ. კრესს ფონდის (World Monuments Fund, World Monuments Watch Programme; Samuel H. Kress Foundation) მხარდაჭერით ჩატარებულ მრავალდისციპლინარულ კვლევას და წინასაპროექტო სამუშაოებს; ასევე 2002-2003 წწ-ში, მსოფლიოს ძეგლთა ფონდისა და სამუელ ჰ. კრესს ფონდის, UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის დივიზიისა და შვეიცარიის საგანგებო ვითარებათა ფონდის (Cultural Heritage Division, Swiss Emergency Fund) დახმარებით ბეთლემის უბანში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისას გამოვლენილ და შესწავლილ მასალებს.

ICOMOS საქართველო მადლობას უხდის დონორ ორგანიზაციებს მრავალწლიანი მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებული მადლობა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს (**Ministry of Foreign Affaires of Norway**), UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის დივიზიას (**UNESCO Cultural Heritage Division**) დროული და ფასდაუდებელი დახმარებისთვის, რომელმაც შესაძლებელი გახადა მრავალწლიანი კვლევის შედეგების თავმოყრა ამ დოკუმენტში.

ICOMOS საქართველოს ეროვნული კომიტეტი © ყველა უფლება დაცულია

თბილისი. 2004 განახლება 26/03/2005

შენობის ქვეშ და უერთდება კოლექტორს ლ. ასათიანის ქუჩაზე. აღნიშნული გარემოება უარყოფითად მოქმედებს მიმდებარე შენობებზე და იწვევს მათი კონსტრუქციების დაზიანებას. ამიტომ, პირველ რიგში, შესაკეთებელია ეზოს შიდა საკანალიზაციო ქსელი; თუ ვერ განხორციელდა აღნიშნული ჭიდან ფანური წყლების გადართვა ბეთლემის ქ.-ის საკანალიზაციო ქსელში, სისტემა უნდა იქნას აღდგენილი ძველი მიმართულებით. ამ შემთხვევაში, შემკრები საკანალიზაციო მილდენი უნდა გატარდეს გარცმის მილში – ჭიდან ჭამდე.

სქემა-4 “წყალმატარებელი კომუნიკაციების გეგმაზე – საპროექტო გადაწყვეტილება”
სქემა-5 “მიწისქვეშა კომუნიკაციების განლაგება და წვიმმიმღები ჭების დაყენების სქემები”
სქემა-6 “გზის სავალი ნაწილის სამოსის მოწყობა”

VI.5. ბეთლემის უბნის განაშენიანების ტექნიკური მაჩვენებლები

საკვლევი უბნის საერთო ფართი შეადგენს 2,4 ჰა-ს (23,714 მ^2), სამოსახლო ნაკვეთებით დაკავებული ტერიტორია შეადგენს 13,125 მ^2, რაც უბნის ტერიტორიის 55% წარმოადგენს; მათ შორის, განაშენიანებით დაკავებული ტერიტორია შეადგენს 9,318 მ^2, ანუ უბის 39%.

უბნის ტერიტორიაზე განლაგებულია 41 საცხოვრებებლი სახლი (ამ რიცხვში არ შედის ათეშგა, რომელიც ამჟამად მიერთებულია საცხოვრებელ სახლთან და მასში ბაღჩაა გამართული). სახლების საერთო რაოდენობიდან 9 სახლი 1 სართულიანია, რაც შენობების 22% შეადგენს; 25 სახლი – 2 სართულიანია, ანუ 61%, ხოლო 7 სახლი – 3 სართულიანია, რაც, შესაბამისად, სახლების მთლიანი რაოდენობის 17 % წარმოადგენს.

მიწის ნაკვეთია განაშენიანების კოეფიციენტი კ-1/19/ და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2/20/ ბეთლემის უბნის ტერიტორიაზე შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

ბეთლემის უბანში განაშენიანების კოეფიციენტი კ-1 საკმაოდ მაღალია (იხ. ცხრილი და გეგმა 27, 28). მისი მაჩვენებელი მერყეობს 0,6-დან 0.9-1-მდე. ეს ნიშნავს, რომ ცალკეული ნაკვეთის ტერიტორიის 60%-დან, თითიქმის 100%-მდე განაშენიანებულია.

ბეთლემის უბნის განაშენიანების ტექნიკური მაჩვენებლები

ნომერი	ტერიტორია	განაშენიანების ფართი	დამხმარე		ეზო	მირითადი ნაგებობა	კ - 1	სართულიანობა	კ - 2	შენიშვნა
			მინაშენი	საინჟინრო						
1	554.00	485.00	19.00		69.00	466.00	0.88	3	2.6	
2	455.00	386.60	7.16		68.40	379.44	0.85	2	1.7	
3	71.43	71.43			0.00	71.43	1.00	1	1.0	
4	212.84	167.29	23.42		45.55	143.87	0.79	2	1.6	

ნომერი	ტერიტორია	განაშენიანების ფართი	დამხმარე		ეზო	ძირითადი ნაგებობა	კ - 1	სართულიანობა	კ - 2	შენიშვნა
			მინაშენი	საინჟინრო						
5	253.77	208.00	15.53		45.77	192.47	0.82	2	1.6	
6	763.53	563.71	49.65		199.82	514.06	0.74	2	1.5	
7	166.50	42.63			123.87	42.63	0.26	1	0.3	
8	212.66	169.27			43.39	169.27	0.80	2	1.6	
9	161.94	99.19			62.75	99.19	0.61	1	0.6	
10	242.11	176.78			65.33	176.78	0.73	2	1.5	
11	231.00	188.00	2.40		43.00	185.60	0.81	2	1.6	
12	724.00	258.50	36.50		465.50	222.00	0.36	2		ამჟამად მიტაცებული ტერიტორიით
12	456.50	258.50	36.50		198.00	222.00	0.57	2	1.1	
13	393.00	294.00	30.50		99.00	263.50	0.75	3	2.2	
14	205.50	148.50	10.70		57.00	137.80	0.72	2	1.5	
15	320.00	209.00	44.50		111.00	164.50	0.65	2	1.3	
16	205.70	148.00	11.60		57.70	136.40	0.72	3	2.2	
17	160.70	140.00			20.70	140.00	0.87	2	1.7	
18	266.60	175.00	80.70		91.60	94.30	0.66	2	1.3	
19	191.50	165.00			26.50	165.00	0.86	2	1.7	
20	233.50	214.00	10.30		19.50	203.70	0.92	3	2.7	
21	275.00	236.30	21.40		38.70	214.90	0.86	3	2.6	
22	187.40	177.60	12.70		9.80	164.90	0.95	2	1.9	
23	202.40	161.40			41.00	161.40	0.80	1	0.8	
24	447.30	363.20	41.50		84.10	321.70	0.81	2	1.6	
25	190.50	155.30	4.44	9.90	35.20	140.96	0.82	3	2.4	ტერიტორია მხოლოდ მისი ეზოთი
25	259.70	155.30	4.44	9.90	104.40	140.96	0.60	3		ტერიტორია მისი + საზიარო ეზოთი
26	184.30	148.00			36.30	148.00	0.80	2	1.6	
27	163.00	132.60	10.00		30.40	122.60	0.81	2	1.6	
28	290.50	162.70	24.20		127.80	138.50	0.56	2	1.1	
29	136.20	108.40			27.80	108.40	0.80	1	0.8	
30	58.30	58.30			0.00	58.30	1.00		1.0	ათეშგა - არქეოლოგიური ძეგლი
31	167.70	90.90			76.80	90.90	0.54	1	0.5	
32	185.80	130.90			54.90	130.90	0.70	2	1.4	
33	128.30	113.60	15.00		14.70	98.60	0.89	1	0.9	
34	413.70	272.20	15.40		141.50	256.80	0.66	2	1.3	
35	319.00	63.50	32.10		255.50	31.40	0.20	1	0.2	
36	456.80	401.40			55.40	401.40	0.88	3	2.6	
37	145.80	123.00			22.80	123.00	0.84	2	1.7	
38	306.30	243.40	6.50		62.90	236.90	0.79	2	1.6	
39	151.00							1		დანგრეულია
40	665.00	393.00	62.50		272.00	330.50	0.59	2	1.2	
41	**222.90**	**165.30**	**6.00**		**57.60**	**159.30**	**0.74**	**2**	**1.5**	**115.30 არის ნაგებობა, 50.00 არის ნაწგრევი**
42	950.50	626.00	23.00	27.70	324.50	575.30	0.66	2	1.3	
a	414.60	243.70			170.90		0.59			ქვემო ბეთლემის ეკლ.
b	395.00	395.00			0.00	395.00	1.00			ზემო ბეთლემის ეკლ.
c	43.30	43.30			0.00	43.30	1.00			ზემო ბეთლემის სატრაპეზო

I უბნის საერთო ფართი	23,714.00
II ასათიანის ქ. მიმდებარე ტერ.	4,018.00
III ახალმშენემლობის ტერ.	1,771.00
(განაშენიანების ფართი 9 სართული)	979.00

შენობა N 41

1. მისამართი - ქვემო გომის ჩიხი N4
2. სტატუსი:
ა) ოფიციალური
ბ) რეკომენდებული
3. მნიშვნელობა - რიგითი ისტორიული ნაგებობა
4. ფუნქცია - საცხოვრებელი
5. ტიპოლოგია - ანფილადი (არატიპიური)
6. სართულიანობა - ორი სართული მცირე სარდაფით
7. ზოგადი თარიღი - XIX -ის II ნახ.
8. შენობის რელიეფზე განთავსება და ორიენტაცია
ნაგებობა დგას მოსწორებულ ადგილზე
სახლი ორიენტირებულია ჩრდილოეთით
9. ფიზიკური მდგომარეობა - III კატეგორია

დასაცავი ფასეულობანი და კონსერვაციული მიდგომა

სივრცულ-გეგმარებითი სტრუქტურა

სახლი დღევანდელი სახით მცირე ზომის მოცულობას წარმოადგენს, რომელიც ძველი სტრუქტურის გადაკეთების შედეგად არის მიღებული. ამაზე მიუთითებს ქვედა სართულის მძლავრი, ღრმა ნიშებიანი კედელი და არატიპიური გეგმარება. შენობის წინა ნაწილში ვიწრო გასასვლელის მაგვარი სარდაფის სათავსია.

ფასადი და ინტერიერი

შენობის ფასადის ნაწილი აივნით არის გახსნილი ორივე სართულზე. კუთხეჩამოთლილ სვეტებს შორის მარტივ მოტივიანი ჭვირული მოაჯირებია. მეორე სართულზე ასასვლელად ლითონის აჟურული კიბეა გარედან მიდგმული.
ორივე სართულის უკანა ოთახებში ნალესობით გამოყვანილი პროფილირებული კარნიზებია.

ეზო

ვიწრო, ტრაპეციული ფორმის ეზო ორივე მხრიდან შემოფარგლულია ძველი, საკმაოდ გრძელი კედლებით. მათგან ქვემო გომის ჩიხი N6-კენ კედელი ძველი ზღუძის ნაწილია, რომელიც კვადრატული აგურისა და ფლეთილი ქვის რიგების Sერეული წყობით არის ნაშენი. რაც შეეხება აღმოსავლეთის კედელს, იგი ადრე აქ მდგარი შენობის ნანგრევს წარმოადგენს და მის მიმდებარედ ეზოში დარჩენილია ამავე ნაგებობის სარდაფის სათავსი. ამ სარდაფში ყურადღებას იქცევს ერთნაირი ინტერვალით განლაგებული ღრმა კედლის ნიშები.

მნიშვნელობა და ავთენტურობა

ნაგებობის დღევანდელი გადაწყვეტა ძველი სტრუქტურის ტრანსფორმაციის შედეგად არის მიღებული და სათანადოდ, ავთენტურობის ხარისხი არ არის მაღალი. საგულისხმოა ტრადიციული აივნის ჭვირული მოაჯირები, და აჟურულ საფეხურებიანი ლითონის კიბე. მნიშვნელოვანია ეზოს ძველი ზღუდე და მიწის საფარს ქვეშ შემორჩენილი სარდაფის სათავსი.

ჩარევის მეთოდოლოგია

ნაგებობის ფიზიკურად შენარჩუნების შემთხვევვაში, უნდა მოწესრიგდეს ეზოს ტერიტორია და "შევსების დიზაინის" პრინციპების შესაბამისად შეივსოს ახალი მოცულობით ეზოს აღმოსავლეთის ნაწილი (იქ, სადაც ბოლო დრომდე ნაგებობა იდგა). მთლიანად ახალი მოცულობით შეცვლის შემთხვევაში, რაც დასაშვებია, ჩარევა უნდა განხორციელდეს "შევსების დიზაინის" სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით.

სასურველია, სახლის ფასადის მხატვრულმა ელემენტებმა გარკვეული ასახვა ჰპოვოს ახალი ნაგებობის გადაწყვეტისას.

ნებისმიერ შემთხვევაში ტერიტორია არქეოლოგიურად არის შესასწავლი და შეძლებისდაგვარად დასაცავი - ძველი ფენები.

შენობის ტექნიკური დახასიათება მზიდი კონსტრუქციების შესწავლის მიხედვით

ბარათი N 41

ქ. თბილისი, კლდისუბანი, ბეთლემის შენობათა ჯგუფი,
ქუჩა - ქვემო გომის ჩიხი
სახლი N 4

I. შენობის დანიშნულება:
საცხოვრებელი - ინდივიდუალური
- მრავალბინიანი
II. შენობის აგების თარიღი:

III. შენობის დახასიათება:

თბილისი, კალა ბეთლემის უბანი

გეგმა №27

განაშენიანების კოეფიციენტი

საპროექტო ტერიტორია

k_1=0,9 1
k_1=0,9 2
k_1=1 3
k_1=0,8 4
5 k_1=0,8
k_1=0,7 6
k_1=0,3 7
k_1=0,8 8
k_1=0,6 9
k_1=0,7 10
k_1=0,8 11
12 k_1=0,6
k_1=0,8 13
k_1=0,7 14
k_1=0,7 15
k_1=0,7 16
k_1=0,9 17
k_1=0,7 18
k_1=0,9 19
k_1=0,9 20
k_1=0,9 21
k_1=1 22
k_1=0,8 23
24 k_1=0,8
k_1=0,8 25
k_1=0,8 26
k1=0,8 27
k_1=0,6 28
k_1=0,8 29
k_1=1 30
k_1=0,6 31
k_1=0,7 32
k_1=0,9 33
k_1=0,7 34
k_1=0,2 35
k_1=0,9 36
k_1=0,8 37
k_1=0,8 38
39
k_1=0,7 40
k_1=0,7 41
k_1=0,7 42
43

0,2 - 0,5
0,6
0,7
0,8
0,9 - 1

10 0 10 20 30 40 50 60 70 80 90 100

თბილისი ~ კლდისუბანი, ბეთლემის შენობათა ჯგუფი

საცხოვრებელი სახლი, ქვემო გორის ჩიხი №4

პირველი სართულის გეგმა მ 1:50



თბილისი ~ კლდისუბანი, ბეთლემის წმინდათა ეკლესია

საკრებულებული სახლი, ქვემო ტბის ჩიხი №4

ფასადი მ 1:50



ჭრილი 2-2 მ 1:50



მეზღუდის ორნამენტი მ 1:20



სარდაფის გეგმა მ 1:50



მეორე სართულის გეგმა მ 1:50



სარდაფის გეგმა მ 1:50

თბილისი ~ კლდისუბანი, ბეთლემის შენობათა ჯგუფი

საცხოვრებელი სახლი, ქვემო გომის ჩიხი №4

ჭრილი 1-1 მ 1:50



ქვემო კალას ისტორიული ნაწილის, ბეთლემის უბანში მდებარე ქვემო გომის ჩიხი №4 და მიმდებარე ტერიტორიის

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ხელოვნებათმცოდნე ლალი ანდრონიკაშვილი

თბილისი
2019, მაისი

საკვლევი ტერიტორია ადმინისტრაციულად კრწანისის რ-ს, ხოლო ისტორიულად ბეთლემის უბანს განეკუთნება. თბილისის ერთ-ერთი უძველესი – ბეთლემის უბანი მდებარეობს თათრის მოედნის სამხრეთით და დასავლეთიდან უშუალოდ ემიჯნებაა ე.წ. ციხის უბანს. ზემოდან მას ესაზღვრება ზედა ციხე ნარიყალითურთ.

ისტორიულად ბეთლემის უბანი ზემო კალას ტერიტორიას განეკუთნება და მისი უკიდურესად განაპირა, კლდეზე შეფენილი განაშენიანებას მოიცავს. ე.წ. პურის მოედნიდან ბეთლემის ქუჩიდან შევდივართ სოლოლაკის ქედზე გაშენებულ მიკროუბანში, რომელიც ფეოდალური ეპოქის ქუჩათა ქსელით არის დანაწევრებული.

უბანი განლაგებულია კლდოვან ფერდზე, რის გამოც მას ახასიათებს მეტად დამრეცი რელიეფი დონეთა დიდი სხვაობით. უბნის განაშენიანებული ნაწილის ქვედა და ზედა ნიშნულებს შორის სხვაობა 55 მ-ს შეადგენს.

თბილისის ეს უძველესი უბანი ჯერ კიდევ ადრე შუასაუკუნეებში გაშენდა, რაზედაც მოწმობს არქეოლოგიური მასალა და ისტორიული რუკები.



ქალაქის განაშენიანების ეს სურათი აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდგომ აღდგენილ ქალაქს გადმოსცემს, რომელზედაც მკაფიოდ ჩანს შუასაუკუნებრივი თბილისის გეგმარება, მათ შორის ბეთლემის უბნის განაშენიანების ნაწილი, რომელიც კლდის ფერდობამდე ვერ აღწევს.

თუ როგორ ყალიბდებოდა ამ უბნის ქუჩათა სტრუქტურა XIX-XX სს-თა მანძილზე ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა პერიოდის გეგმებზე და ფოტოსურათებზე. ნიშანდობლივია, რომ XIX ს-ის განმავლობაში საცხოვრებელი სახლები ფაქტობრივად ძველი შუასაუკუნებრივი ქუჩათა ქსელის მიხედვით აიგო. ცალკეულ შემთხვევებში მთავარ ვერტიკალურ, ან ქუჩების სიმრუდეებში, ან ქუჩათა შეხვედრის ადგილებში შენობები რელიეფს მიუყვებბა. ამის გამო მათი მთავარიფ ასადი კუთხესა და ორ კედელს მოიცავს. რელიეფს პლასტიურად მორგებული მოცულობები ღია აივნების აჟურით იხსნება ქალაქისკენ და სრულიად განუმეორებელ განაშენიანებას ქმნის.





1903წ. თბილისის გეგმა





1909წ. გეგმა

1930-იანი წწ. გეგმა.

ისტორიულ გეგმებზე თვალნათლივ ჩანს, რომ ბეთლემის, ასკანის და გომის ქუჩებს შორის მოქცეული ურბანული მონაკვეთი ყოველთვის ხასიათდებოდა უსწორმასწორო ქუჩათა ქსელით და ამ თავისებურებაზე მორგებული ასევე ირეგულარული ფორმის განაშენიანებით.

მიკროუბანში დომინირებს ბეთლემის ზედა და ქვედა ეკლესიების და კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის გუმბათები, რომელთა ირგვლივ ვითარდება თბილისური აივნიანი საცხოვრებლების მრავალფეროვანი სტრუქტურები.



გარდა საკულტო ნაგებობებისა, ბეთლემის უბნის ტერიტორიაზე მრავალი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია ფიქსირებული, მათ შორის გვიან შუასაუკუნეების პერიოდის ციხე-სიმაგრის დამცავი კედლები, ძველი, ე.წ. „როსტომისეული“ დროის კუთვნილი სარდაფები და საცხოვრებელი სახლები.

უმნიშვნელოვანესია ამ უბანში ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის - ათეშგას ნანგრევების არსებობა.





ბეთლემის უბნის ქვედა ნაწილი პურის მოედნის და ამომავალი გომის ქუჩის ირგვლივ ვითარდება. ამ გეგმარებაში განსაკუთრებით გამოირჩევა ბეთლემისა და ასკანის ქუჩის შემხვედრი კუთხის, ბეთლემის ქ. №3 კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლი. ამავე სტატუსს ატარებს გომის ქ. №5/12; გომის ქ. №2; ასკანის I ჩიხი 4 და სხვა სახლები.





ვერტიკალური ქუჩებისა და დამხმარე ჰორიზონტალური შესახვევების ქსელის ირგვლივ აკინძული უბნის განაშენიანების ზომიერ სიმჭიდროვეში გაბნეული ცარიელი არეები აუცილებელი ამოსასუნთქი პაუზებია: მცირე ზომის ეზოები, რომლებიც თითეულ სახლს გააჩნია და უფრო მოზრდილი, საერთო დანიშნულების სივრცე - მცირე მოედნები.

ბეთლემის და გომის ქუჩა და ასკანის ქუჩის მონაკვეთი, აგრეთვე ასკანის I; II და III ჩიხები ადგილბრივი მნიშვნელობის ქუჩებია, რომელთა მეშვეობითაც უბანში სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება.



სარეკონსტრუქციო ობიექტი გომის ჩიხი №4 რიგითი ისტორიული ნაგებობაა, რომელიც XIX ს-ის II ნახევარს განეკუთვნება. სახლი შედგება ორი სართულისაგან და სარდაფისგან, დგას მოსწორებულ ადგილზე, ორიენტირებულია ჩრდილოეთზე. შენობის ფასადის ნაწილი აივნით არის გახსნილი ორივე სართულზე. კუთხეჩამოთლილ სვეტებს შორის მარტივი ჭვირული მოაჯირებია განთავსებული. მეორე სართულზე ლითონის აჟურული კიბე ადის. სახლი დღევანდელი სახით მცირე ზომის მოცულობას წარმოადგენს, რომელიც სავარაუდოდ ძველი სტრუქტურის გადაკეთების შედეგია.





ვიწრო, ტრაპეციული ფორმის ეზო ორივე მხრიდან შემოფარგლულია საკმაოდ გრძელი კედლებით, რომელთა შორის გომის ჩიხი №6-კენ არსებული კედელი ძველი ზღუდის ნაწილია. რაც შეეხება აღმოსავლეთის კედელს, იგი აქ

ადრე არსებული შენობის ნანგრევს წარმოადგენს და მის მიმდებარედ ეზოში დარჩენილია ამავე ნაგებობის სარდაფის ნაწილი.



ნაგებობის დღევანდელი მდგომარეობა ძველი სტრუქტურის ტრანსფორმაციის შედეგია და ავთენტურობის ხარისხი არ არის მაღალი. ამასთან ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. საძირკვლების დაჯდენის შედეგად თითქმის მთლიანად ჩამოშლილია აღმოსავლეთის კედელი. ამდენად, შენობის შენარჩუნება ვფიქრობ შეუძლებელია და მისი ახალი მოცულობით შეცვლის შემთხვევაში გასათვალისწინებელია მისი მასშტაბი და არქიტექტურული ფორმა მეზობელ შენობასთან მიმართებაში. შესაძლებელია აგრეთვე ფასადის დიზაინში გამოყენებული იყოს არსებული მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები.

ნაგებობის დაშლის დროს აუცილებელია არქეოლოგიური მეთალყურეობა, რათა არ დაზიანდეს სავარაუდოდ არსებული ძველი ფენები.





შენობის ეზო გავსებულია ადრე არსებული დაშლილი ფლიგელის საშენი მასალით. ისტორიულ ფოტოზე შემონახული ფრაგმენტით და ტექბიუროს მონაცემებით ირკვევა, რომ ფლიგელის მოცულობა კარიბჭემდე ვითარდებოდა, ხოლო მისი საფასადე გადაწყვეტა იდენტური იყო მთავარი შენობისა-ხის გალერეა-შუშაბანდით გაფორმებული. მავე ფოტოზე ჩანს, თუ როგორ გამოიყურებოდა მთავარი შენობის გვერდითი კედელი, რომელიც დღეისმდგომარეობით ჩამორღვეულია.





საკვლევი ნაგებობის გვერდით და მიმდებარედ რამდენიმე ღირებული ნაგებობა მდებარეობს, რომელთაგან ზოგიერთს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, ხოლო უმეტესობა, ისევე როგორც აღნიშნული ობიექტი მიკროუბნის განაშენიანებისათვის ფონური არქიტექტურის ღირებული ნიმუშებია, რომელთა გარეშე ბეთლემის უბანი დაკარგავს თავის აუთენტურ იერსახეს.



ქვემო გომის ჩიხი №5 ურბანული და მხატვრული ღირებულების მქონე ნაგებობაა. ორსართულიანი სახლი სარდაფით XIX ს-ის I მეოთხედს უნდა განეკუთვნებოდეს. სახლს ეზოს მცირე ფართი უკავია ამფილადური გეგმარების ოთახების წყებას ღია აივანზე გავყავართ, რომელიც შენობას ორივე სართულზე ამშვენებს.





კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ქვედა სართულში სარდაფია აგურის თაღოვანი კედლის ნიშებით, რომელთა თავზეც გაგანიერებული დახრილწირთხლებიანი სარკმლებია განთავსებული. სახლის ფასადების გაფორმება თავმოყრილია აივნებზე აჟურული მოაჯირებისა, სვეტის ზემოთ დეკორატიული სამკუთხა კრონშტეინების და ტიხრული აფრების სახით. ინტერიერში პროფილირებული კარნიზებია ნალესობით გამოყვანილი. საინტერესოა ბუხრების და მრავალრიცხოვანი კედლის ნიშების არსებობა. სამწუხაროდ, ასკანის ჩიხის მხრიდან სახლს მიბმული აქვს დაბალი, შეუსაბამო მიშენება და ლითონის აივანი, რომელიც მნიშვნელოვნად აკნინებს ძეგლის მხატვრულ ღირებულებას.



სახლი ძველი თბილისური საცხოვრებლის ერთ-ერთი ადრეული და საინტერესო ნიმუშია, რომელმაც გარკვეული ცვლილებებით მოაღწია ჩვენამდე. სავარაუდოდ სახლს ბანიანი გადახურვა უნდა ჰქონდა. გვერდით კედელში ამოშენებულია მეორე სართულის ფანჯრები. სარდაფის ნაწილს დაკარგული აქვს ავთენტურობა. ნაგებობის ფიზიკური შენარჩუნებისთვის აუცილებელია მისი რეაბილიტაციის პროექტის შედგენა, რომელიც მოაწესრიგებდა ძეგლის ფიზიკურ მდგომარეობასა და ვიზუალურ მხარეს და გააჯანსაღებდა მიკროუბნის დეგრადირებულ გარემოს.

ქვემო გომის ჩიხი №6 შენობა მიკროუბნის სივრცეში თავისი მსხვილი მასშტაბით გამოირჩევა. ეს მაღალი, სამსართულიანი ნაგებობა მრავალი ნიშნის მიხედვით XX ს-ის დასაწყისს განეკუთვნება (გადმოცემით ბელგიელების აშენებული უნდა იყოს). შენობის ძირითადი კორპუსი ოდნავ ასიმეტრიულ მართკუთხედს წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით მეზობელ შენობებამდე და უკან დასავლეთის ნაწილში ტერასის საყრდენ კედლამდე დამატებული ნაწილები ასრულებს.



შენობის პირველ სართულს ნაკლები ფართი უკავია და კედლები გაცილებით სქელია, ვიდრე ზედა სართულზე. გეგმა კორიდორულ ტიპს უახლოვდება. შენობის შუა ხაზზე მოწყობილია სადარბაზო კიბის უჯრედით, რომლის ორივე მხარეს ბინებია განლაგებული. ფასადის ნაწილში, ოთახების წინ, ღია აივნები გასდევს, რომელიც დროთა განმავლობაში შუშაბანდებად არის გადაკეთებული.



სადარბაზოს კიბის ხის დაფებზე ჭრით შესრულებულ მოაჯირსა და ფანჯრის ალათათასაც მოდერნის ეპოქისთვის დამახასიათებელი გეომეტრიული ნახატი ამკობს. ასეთივე დეკორით შემკული ფანჯარა მდებარეობს ნაგებობის უკანა მხარეს ყრუ, დამცავი კედლისკენ გამავალ ფასადზე.







შენობის ყველა სართულის ინტერიერში მოწყობილია განჯინები და თახჩები. საინტერესო დეტალი არის დარჩენილი თავდაპირველი ჭვირული აივნის დეკორიდან. დანარჩენი ფასადის კაზმულობა სრულიად სახეცვლილია.

ფოტომასალაზე კარგად ჩანს, თუ რა დანაკარგები განიცადა სახლის ფასადმა უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში.





ნაგებობის უკანა მხარეს ფლეთილი ქვით ნაგები საყრდენი კედლის მასაა აღმართული, რომლის ერთ ნაწილში ძველი, კვადრატული აგურით ამოყვანილი, გაურკვეველი დანიშნულების - სავარაუდოდ საყინულე - სფერული კამარით დახურული სათავსი მდებარეობს, თუმცა მასში შესვლა დღესდღეობით შეუძლებელია ზემოდან დაბეტონებული კედლის გამო.





სახლის დასავლეთით ახლად მიშენებული ცემენტის ერთსართულიანი შენობის ქვეშ მოქცეულია ასევე ძველი, ბრტყელკარიანი კამარით გადახურული სარდაფი, რომლის ძირითადი კედლის წყობა სიძველეზე მიგვითითებს, თუმცა, არის ახალი აგურით ამოყვანილი ფრაგმენტებიც. სარდაფში იკვეთება ასევე არატრადიციული ფორმის შეისრული ნიშების სისტემა. ეს სათავსი ჩანს ნაწილი ძველი ნაგებობისა, რომელიც არსებული სახლის უკან და გვერდით ვრცელდებოდა და შესაძლებელია სახლის ქვემოთაც გრძელდებოდა. სამწუხაროდ, მობინადრეთა მიერ თითქმის მთლიანად ამოქოლილი და დაბეტონებულია. თავისთავად, სახლის გვერდით არსებული ძველის სარდაფი და ე.წ. „საყინულე“ საპროექტო ტერიტორიის ამ ნაწილში მშენებლობის სიფრთხილეს, არქეოლოგიურ მეთვალყურეობას და სიძველის მაქსიმალურ გამოვლენას მოითხოვს.

ნაგებობის წინ ვრცელი გალავნის კედლით გამოყოფილი ეზო ვითარდება, რომლის გვერდითი ნაწილები ამოშენებულია ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობებით. ეზო მოსაზღვრულია ლითონის ჭიშკრით.

ქვემო გომის ჩიხი №6 თბილისური საცხოვრებლის საინტერესო ნიმუშია, რომელიც გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ძველ და ახალ არქიტექტურას შორის. სახლს ძირითადად შენარჩუნებული აქვს მხატვრული მახასიათებლები, თუმცა, ფასადის ნაწილში დაკარგული აქვს მხატვრული ღირებულება.



ჩვენს ხელთარსებულ საარქივო ფოტომასალაზე არ იძებნება ამ შენობის თავდაპირველი მდგომარეობის ამსახველი სურათები, რადგანაც ეს ფოტოდოკუმენტაცია უფრო ადრეული პერიოდის არის, ვიდრე XX ს-ის დასაწყისში აგებული ეს შენობა. ამასთან, ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ სივრცე ნაგებობის წინ თითქმის მთლიანად ამოვსებული იყო დაბალი ერთ-ორსართულიანი მოცულობებით, რომლთაგან ერთ-ერთის ნანგრევი დღესაც დგას აღნიშნულ მონაკვეთზე.



კიდევ ერთი მნიშნელოვანი ფაქტორი რეკონსტრუქციისათვის არის საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ცარიელი მიწის ნაკვეთი ყოფილი ბეთლემის ქუჩა №7 და №9-ის ადგილას, რომელიც დღეის მდგომარეობით მანქანების სადგომად არის გადაქცეული. ისტორიული რუკის და ICOMOS- ის დოკუმენტაციის მიხედვით ამ მიწის ნაკვეთზე რამოდენიმე შენობა იდგა, რომელთაგან ორს ისტორიული ღირებულება ჰქონია.



ბეთლემის უბნის განაშენიანება
XX საუკუნის დასაწყისისათვის



ბეთლემის უბნის განაშენიანება
დღეისთვის

ვფიქრობ, ურბანული სიმკვრივის გამტკიცების კუთხით, სასურველია ამ ნაგებობების ხელახალი აღდგენა და არსებული შეუსაბამო ცარიელი მონაკვეთის განაშენიანება უბნის ისტორიულ-არქიტექტურული მახასიათებლებისა და კვლევებში მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით. ამასთან მნიშვნელოვანია არსებული მიწის ცარიელი ნაკვეთის სიღრმეში დაცული შუასაუკუნეების პერიოდის თაღოვანი ნანგრევების კონსერვაცია და მათი ჩართვა განაშენიანების დიზაინ-პროექტში.





.

დასკვნა-რეკომენდაციები

ქვემო კალას ისტორიული ნაწილის, ბეთლემის უბანში მდებარე ქვემო გომის ჩიხი №4 და მიმდებარე ტერიტორიის კვლევამ ცხადყო არსებული ურბანული მონაკვეთის მნიშვნელობა ბეთლემის უბნის კონსერვაცია-რეკონსტრუქციის პროექტისატვის. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაციები:

- *ქვემო გომის ჩიხი №4 - ნაგებობის დღევანდელი მდგომარეობა ძველი სტრუქტურის ტრანსფორმაციის შედეგია და ავთენტურობის ხარისხი არ არის მაღალი. ამასთან ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. საძირკვლების ჯდენის შედეგად ნახევრად ჩამოშლილია აღმოსავლეთის კედელი. ამდენად, შენობის შენარჩუნება ვფიქრობ, შეუძლებელია და მისი ახალი მოცულობით ჩანაცვლების შემთხვევაში გასათვალისწინებელია მისი მასშტაბი და არქიტექტურული თანაფარდობა მეზობელ შენობასთან მიმართებაში.*
- *შესაძლებლად მიმაჩნია, აღდგენილი მოცულობის გაზრდა ერთი სართულით, ამასთან ნაგებობა მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს მეზობელ შენობას, რომ არ მოხდეს ამ ორი მოცულობის ვიზუალური გამთლიანება ერთიან მოცულობად.*

- სასურველია ფასადის დიზაინში გამოყენებული იყოს არსებული მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტები ან მათი თანამედროვე, მაღალმხატვრული ანალოგები.
- ნაგებობის დაშლის დროს აუცილებელია არქეოლოგიური მეთვალყურეობა, რათა არ დაზიანდეს საძირკველში სავარაუდოდ არსებული ძველი ფენები.
- აღნიშნული ნაგებობების ირგვლივ არსებული განაშენიანების ტრადიციული გეგმარების აღდგენის მიზნით, რეკომენდირებულია ქვემო გომის ჩიხი №4-ის წინ, ქუჩისკენ მიმართული ადრე არსებული გრძივი ფლიგელის მოცულობის აღდგენა და მისი ადაპტაცია პროექტის შინაარსის გათვალისწინებით ვფიქრობ, რომ ერთსართულიანი მოცულობის გაზრდა ორსართულიანად არ ეწინააღმდეგება ამ უბნის საღელმძღვანელო ადაპტაციის პრინციპებს.
- ნაგებობების ირგვლივ არსებული ღია ეზოების შემომფარგვლელი გალავნებისა და ჭიშკრების ნახატი უნდა აღდგეს უბნისთვის დამახასიათებელი ანალოგების და არსებული კედლების ნანგრევების მიხედვით.
- საპროექტო ტერიტორიის გამწვანება უნდა მოხდეს უბნისთვის ტრადიციული მცენარეებისა და ხის ჯიშების შერჩევით.
- ქვემო გომის ჩიხი №4 განაშენიანების პროექტის შედგენისას სასურველია მიმდებარე მიწის ნაკვეთის პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობების გათვალისწინება სრულყოფილი გეგმარებითი სტრუქტურის მისაღწევად.

მნიშვნელოვანია, რომ რეკონსტრუქციის პროექტმა მაქსიმალურად გაითვალისწინოს ამ მიკროუბნის განსაკუთრებული ღირებულება ისტორიული თბილისისათვის და ფრთხილი განვითარების, კონსერვაცია-ადაპტაციის პრინციპებზე დამყარებული მიდგომები შეიმუშაოს, რომლებიც ხელს შეუწყობს უბნის გაჯანსაღება-რევიტალიზაციის პროცესს, ისე, რომ არ დაარღვევს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ მხატვრულ-არქიტექტულ ღირებულებათა სისტემას.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

ბიბლიოგრაფია

1. „ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა - ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები“ ICOMOS საქართველოს მიერ 2004.

2. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლებში, ტ. I, თბ., 1960 ტ. II, თბ., 1962.

3. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984.

4. თ. კვირკველია, ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბამდებში, თბ. 1989.

5. В. Цинцадзе, Тбилиси. Архитектура старого города и жилые дома превой половины XIX столетия, Тб., 1958.

კვლევაში გამოყენებულია ისტორიული რუკები და ფოტოები პირადი არქივიდან. ნაწილი ფოტოებისა და ანაზომები ICOMOS საქართველოს არქივიდან.



















ბეტონი RAL 3033

ხე RAL 3033

+426.00
+14.00

+424.65
+12.65

+11.30

GH-945-HG

JJ-140-SS


აბური RAL 3033
შუშა
ხე RAL 3033
ბეტონი RAL 3033
+426.00
+14.00
+424.65
+12.65
+11.30
HOLOSEUM


352
352
OWER



WERKRAUM
D E S I G N ARCHITECTURE

სასტუმრო	ქალაქი თბილისი ქვემო გომის ჩიხი № 4 ს.კ. (01.18.03.070.012)
გენ-გეგმა	
ნახაზი	
არქიტექტურული ნაწილი 1:200	
მასშტაბი	
პრ.მთ.არქ.	კ.კახიშვილი
პრ.არქ.	ლ. გოგლიძე
პრ.მთ.კონსტრ.	ე. წოწერია
შეასრულა	ლ. გოგლიძე
შეამოწმა	კ.კახიშვილი
ფურცელი A-001	ფურცლები

შ.პ.ს. "WERK" - 405001082
ცაგარელის ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო

T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com



WERKRAUM
D E S I G N A R C H I T E C T U R E

სასტუმრო
ქალაქი თბილისი
ქვემო გომის ჩიხი № 4
ს.კ. (01.18.03.070.012)

ფასადი თ-ა
ნახაზი

არქიტექტურული ნაწილი

1:100
მასშტაბი

პრ.მთავარქ.	კ.კახიშვილი
პრ.არქ.	ლ. ვოგლიძე
პრ.მთ.კონსტრ.	ე. წოწურია
შესრულა	ლ. ვოგლიძე
შეამოწმა	კ.კახიშვილი

ფურცელი A-101 ფურცლები

შ.პ.ს. "WERK" - 405001082
ცოცხალოს ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო

T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com



WERKRAUM
DESIGN ARCHITECTURE

სასტუმრო
ქალაქი თბილისი
ქვემო გომის ჩიხი № 4
ს.კ. (01.18.03.070.012)

ფასადი 12-1

ნახაზი

არქიტექტურული ნაწილი

1:100

მასშტაბი

პრ.მთავარკ.	კ.კახიშვილი
პრ.არკ.	ლ. გოგლიძე
პრ.მთ.კონსტრ.	ე. წოწურია
შესრულა	ლ. გოგლიძე
შეამოწმა	კ.კახიშვილი
ფურცელი A-102	ფურცლები

შპს. "WERK" - 405001082
ცოცხალის ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო

T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com

საზოგადოებრივი სივრცე (ტზ-1)

არსებული შენობები



WERKRAUM
DESIGN ARCHITECTURE

სასტუმრო	ქალაქი თბილისი ქვემო გომის ჩიხი № 4 ს.კ. (01.18.03.070.012)
ჭრილი / მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა	
ნახაზი	
არქიტექტურული ნაწილი	
1:250 მასშტაბი	
პრ.მთავარკ.	კ.კახიშვილი
პრ.არკ.	ლ. გოგლიძე
პრ.მთ.კონსტრ.	ე. წოწკირია
შეასრულა	ლ. გოგლიძე
შეამოწმა	კ.კახიშვილი
ფურცელი A-201	ფურცლები

შ.პ.ს. "WERK" - 405001082
ცივარულის ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო
T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com

მიწის ნაკვეთის ფართობი – 273 მ²	კ1 (0.6) – 160.28 მ²
	
კ2 (1.4) – 378.41 მ²	კ3 (0.3) – 69.19 მ²
	

WERKRAUM
DESIGNARCHITECTURE

სასტუმრო
ქალაქი თბილისი
ქვემო გომის ჩიხი № 4
ს.კ. (01.18.03.070.012)

საანგარიშო კროკები
ნახაზი

არქიტექტურული ნაწილი

1:250
მასშტაბი

პრ.მთავარკ.	კ.კახიშვილი	
პრ.არკ.	ლ. გოგლიძე	
პრ.მთ.კონსტრ.	ე. წოწურია	
შეასრულა	ლ. გოგლიძე	
შეამოწმა	კ.კახიშვილი	

ფურცელი A-301
ფურცლები

შ.პ.ს. "WERK" - 405001082
ცოცხალის ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო

T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com


S-02
S-02
E-01
E-01
20.61 m²
5.85 m²
14.76 m²
530
395
689
609
315
585
112

მაქსიმალური სიმაღლის შეზღუდვა (15 მ)

არასრული სართული

+428.25

მოაჯირი

მაქსიმალური სიმაღლის ზღვარი

+416

1,062

0=+-412

425

H=L/Y=4.25 / 0.4=10.62

408.9

ქუჩის წარმოსახვითი შუახაზი

474 | 395 | 155 | 155 | 155 | 155 | 155 | 155 | 155 | 155 | 155

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

WERKRAUM
DESIGN ARCHITECTURE

სასტუმრო — ქალაქი თბილისი
ქვემო გომის ჩიხი № 4
ს.კ. (01.18.03.070.012)

ჭრილი / მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა
ნახაზი

არქიტექტურული ნაწილი

1:250
მასშტაბი

პრ.მთაარქ.	კ.კახიშვილი
პრაარქ.	ლ. გოგლიძე
პრ.მთ.კონსტრ.	ე. წოწკირია
შეასრულა	ლ. გოგლიძე
შეამოწმა	კ.კახიშვილი

ფურცელი A-201 — ფურცლები

შ.პ.ს. "WERK" - 405001082
ცოცხალის ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო
T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 273 მ^2

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი - 160.28 მ^2

შენობა-ნაგებობის ფართობი - 758.23

შენობის კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 160.28 მ^2

შენობის კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 378.41 მ^2

შენობის კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 69.19 მ^2

შენობის სიმაღლე - 13.5 მ

შენობის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან ქვემოთ - 3 მ

შენობის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მაქსიმალური სიგრძე - 4.74 მ

შენიშვნა:

წარმოდგენილი პროექტი დმუშავებულია საბჭოს შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- კ1 კოეფიციენტი ნაანგარიშებია იკომოსის კვლევისა და დასკვნის საფუძველზე, სადაც აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ისტორიული განაშენიანების გათვალისწინებით მინიჭებული აქვს კ1 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი 0.7;
- უკანა ეზოს წესის დაცვა უგულებელყოფილია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობას ასევე არ აქვს დაცული უკანა ეზოს წესი.

განმარტებითი ბარათი:

შენობა იმეორებს ისტორიული შენობის კონტურს. შედგება ორი მიწისზედა და ორი მიწისქვეშა სართულისაგან, ასევე სახურავზე ასასვლელი არასრული სართულისაგან. სტრუქტურულად შენობა რკინა-ბეტონის კონსტრუქციისაა. მიწისქვეშა სართულებზე განლაგებულია რესტორანი და დამხმარე სათავსოები, ხოლო ზედა სართულებზე - სასტუმროს ნომრები; შენობის გარე ფასადი აგურისაა, რომელიც დანაწევრებულია ღიობებითა და აგურის სხვადასხვა წყობებით, ხოლო ეზოს მხარეს ფასადი წარმოადგენს შუშაბანდს.

WERKRAUM
DESIGN ARCHITECTURE

სასტუმრო
ქალაქი თბილისი
ქვემო გომის ჩიხი № 4
ს.კ. (01.18.03.070.012)

ტექნიკური განმარტებები
ნახაზი
არქიტექტურული ნაწილი
მასშტაბი

პრ.მთავარკ. კ.კახიშვილი
პრ.არკ. ლ. ვოგლიძე
პრ.მთ.კონსტრ. ე. წოწორია
შეასრულა ლ. ვოგლიძე
შეამოწმა კ.კახიშვილი

ფურცელი A-401
ფურცლები

შ.პ.ს. "WERK" - 405001082
ცოცხალის ქ. 6
0194 თბილისი
საქართველო

T +995 595 220 600
kk@werk-raum.com
ms@werk-raum.com
www.werk-raum.com